

ოქმი # 3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 17 ნოემბრის სხდომისა (სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ინსტიტუტის 2021 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით;
2. მიმდინარე საკითხები.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა ინსტიტუტის 2021 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან თქვა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ შემოთავაზებულია წლიური ანგარიშის ახალი ფორმები. გასათვალისწინებელია, რომ ანგარიში, სადაც არ იქნება დაცული აკადემიის მოთხოვნები, აკადემიის მიერ არ შეფასდება. თ. ქადეიშვილმა განყოფილების ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით, რომ მათ თავიანთი განყოფილებების 2021 წლის სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი ანგარიშები წარმოადგინონ 2021 წლის 25 დეკემბრამდე, რათა შემდგომ დროულად მოხდეს ინსტიტუტის ერთიანი წლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარსადგენად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც ისაუბრა ინსტიტუტში მომავალ კონკურსებზე. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის თებერვალში ინსტიტუტის 9 მეცნიერ თანამშრომელს ეწურებათ მუშაობის ვადა და უახლოეს მომავალში აღნიშნულ თანამდებობებზე გამოცხადდება ღია კონკურსი.

საბჭოს თავმჯდომარე  თ. ქადეიშვილი

სწავლული მდიანი  ო. ჯოხაძე

